პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 13 (5043)
1974 წ. 19 იანვარი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ЗИМНЯЯ СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР - 1974

წმინდა მოგებამ გადაწყვიტა...



თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა ძიუდოისტთა საერთაშორისო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბელგიისა და საფრანგეთის პროფკავშირული გუნდები, აგრეთვე, საქართველოს სტუდენტთა რამდენიმე ნაკრები. უცხოელებმა საქართველოში ორ-ორი გუნდი ჩამოიყვანეს. ორ-ორი ნაკრები გამოიყვანეს სარბიელზე თბილისის უნივერსიტეტმა და პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმაც. შეხვედრა ოლიმპიური სისტემით ჩატარდა.

საინტერესო იყო უნივერსიტეტისა და საფრანგეთის პირველი გუნდების შეხვედრა. მსუბუქ წონაში ნ. სალთხუციშვილმა 3 წუთში დაამარცხა ფრანგი ქ. ბეტელი. კიდევ უფრო ადრე დამთავრდა ბ. გუგავას და ა. მასტრანის ბრძოლა: თბილისელმა ძიუდოისტმა 1,5 წუთში გაიმარჯვა.

საშუალო და ქვემძიმე წონებში უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო: ქ. ოზამ მოუგო ჯ. კბილაშვილს, ხოლო პ. ნიკოდემმა — თ. კობაურს.

გამარჯვებული მძიმე წონის მოჭიდავეთა შერკინებას უნდა დაესახელებინა და, როცა ტატამზე მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი შ. ჩოჩიშვილი გამოვიდა, მაყურებლებმა შვებით ამოისუნთქეს. ჩოჩიშვილმა მ. კაბანს ერთ წუთში დააყრევინა ფარ-ხმალი — 3:2.

შემდეგ ასპარეზზე გამოვიდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ბელგიის პირველი გუნდები. ბ. ჟიჟიაშვილმა წმინდად მოუგო ბ. ტორტოსს. ასევე წმინდად გაიმარჯვეს ნ. ბეინაშვილმა და თ. ძიძიგურმაც. ქვემძიმე წონის ათლეტმა ვ. ჟამუტაშვილმა ო. ვერკამენთან შეხვედრის პირველსავე წუთზე მომგებიანი ქულა ჩაიწერა, მაგრამ ფანდის ჩატარების დროს ბელგიელი დაშავდა და შეხვედრის გაგრძელება ვერ შეძლო. საერთაშორისო წესების თანახმად ორთაბრძოლა ფრედ შეფასდა.

მძიმე წონის ათლეტმა ნ. ზაზუნიშვილმა ლამაზი კისრულით დაამარცხა ჟ. როლანი. გაიმარჯვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ძიუდოისტებმა — 4:0. უნივერსიტეტის მეორე ნაკრებმა ბელგიის მეორე გუნდი მშრალი ანგარიშით (5:0) დაამარცხა. ასეთივე შედეგით მოუგეს შეხვედრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ძიუდოისტებმა საფრანგეთის მეორე ნაკრებს.

ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ უნივერსიტეტის გუნდი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი ნაკრები, უაღრესად დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 2:2. მაგრამ, ვინაიდან უნივერსიტეტელებს ერთი წმინდა მოგება ჰქონდათ, გამარჯვებაც მათ მიეკუთვნათ.

გუშინ ბელგიისა და საფრანგეთის პროფკავშირთა ნაკრები გუნდები გორში შეხვდნენ ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ძიუდოისტებს.

ი. იმერლიშვილი,
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — შ. ჩოჩიშვილი (უნივერსიტეტი — I) ამარცხებს ნ. ბერძულს (პოლიტექნიკური ინსტიტუტი — I). ეს შეხვედრა 1 წუთსა და 10 წამს გაგრძელდა; მარჯვნივ — ნ. ზაზუნიშვილისა და ბელგიელი ჟ. როლანის შეხვედრის მომენტი. 8 წუთსა და 12 წამში გაიმარჯვა ზაზუნიშვილმა.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

ფიზკულტურასა და სპორტში ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი

ახალი ზღუდეების დასაძლევისთვის

„სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობა ახალი ძალით დაადასტურებს თავის ერთგულებას ლენინის ანდერძისადმი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი, დაძკვრელური შრომითა და ფრიადზე სწავლით აღნიშნავს ხუთწლედის მეოთხე წელს. სამშობლოს სწამს ახალგაზრდა თაობისა, მისი შრომისმოყვარეობისა, სიმტკიცისა და თავდადებისა" — პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის ეს სიტყვები ჩვენმა ახალგაზრდობამ დროშად აიტაცა. ეს სიტყვები საპროგრამო ამოცანად დაისახეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმაც.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა მნიშვნელოვანი ვალდებულებები აიღო.

დღენიადაგ ზრუნავდეს სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფისთვის, სასწავლო დისციპლინის განმტკიცებისთვის, მეცადინეობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის, აკადემიური მოსწრების დონის ამაღლებისთვის, — აი, ინსტიტუტის უმთავრესი ამოცანა. სწორედ ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრეს ინსტიტუტში ახლახან გამართულ პროფესორ-მასწავლებელთა, თანამშრომელთა და სტუდენტთა საერთო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი ინსტიტუტის კოლექტივისთვის მრავალი გაზრდილი ვალდებულების შესრულების წელი იქნება. გადაწყვეტილი აქვთ, რომ მომზადდეს 3 სადოქტორო და 4 საკანდიდატო დისერტაცია, ბევრად გაფართოვდეს სტუდენტთა მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, უფრო მიზანდასახული გახდეს ასპირანტებთან მუშაობა. ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელიწადს ინსტიტუტი გამოსაცემად მოამზადებს 4 სახელმძღვანელოს და 10 მეთოდურ დამხმარე სახელმძღვანელოს.

1974 წელს ინსტიტუტის სტუდენტები კიდევ უფრო სრულყოფენ თავიანთ სპორტულ ოსტატობას. მომზადდება 11 სპორტის ოსტატი, 13 ოსტატობის კანდიდატი, 60 პირველთანრიგოსანი, 450 II და III თანრიგების სპორტსმენი, 350 მსაჯი, 300 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი.

სტუდენტებმა ივალდებულეს წარმატებით ჩაატარონ მესამე შრომითი სემესტრი. ისინი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ინსტიტუტის შენობებისა და ტერიტორიის შეკეთება-კეთილმოწყობაში.

ფიზკულტურის ინსტიტუტი კარგა ხანია საშეფო მუშაობას ეწევა ორჯონიკიძის რაიონის მოსახლეობაში. ეს მუშაობა კვლავაც გაგრძელდება. გადაწყვეტილი აქვთ, რომ ინსტიტუტის სტუდენტებმა უხელმძღვანელონ რაიონის ბავშვთა პირველობებს ფეხბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში. გაგრძელდება საშეფო მუშაობა სოფლის რაიონებშიც.

როგორც ხედავთ, ინსტიტუტის კოლექტივს ბევრი საინტერესო ღონისძიება აქვს ჩასატარებელი. სტუდენტები და მათი მასწავლებლები უკვე შეუდგნენ მუშაობას დასახული ამოცანის პირნათლად შესრულებისთვის.

ჯ. ენუქიძე.

მეზობლობა და მეგობრობა

თბილისის კერამიკულ და „სამტრესტის" საწარმოო კომბინატებს ერთი ღობე ძრ ყოფთ, თორემ ისე ნამდვილი კარის მეზობლები არიან. მაგრამ ამ ორი საწარმოს მუშა-მოსამსახურენი დღემდე ხეირიანად არც იცნობდნენ ერთმანეთს, ახლახან კი მოეწყო ერთი უჩვეულო საღამო, რომელმაც დასაბამი მისცა მათს მეგობრობას. საღამოს მოწყობის საბაბი იყო... ჭადრაკი და წლიური საწარმო გეგმების შესრულებით გამოწვეული სიხარული.

ამ ლამაზი ღონისძიების ჩატარება კერამიკის კომბინატის კომუნისტთა თავკაცმა შ. ცხვარაძემ მოიფიქრა და თავისი აზრი ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტს ლ. ლობჟანიძეს გაანდო.

კერამიკულ კომბინატში შ. ცხვარაძე ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა. მან ნაკრები გუნდიც დააკომპლექტა და პირველ დაფაზე თამაშიც იკისრა.

ჭადრაკი ორივე კოლექტივში პოპულარული თამაშია. ბუნებრივია, შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველიც ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ ამ ღონისძიების ერთი კარგი პრინციპი ისიც იყო, რომ კოლექტივის ღირსების დაცვის უფლება მხოლოდ შრომის მოწინავეებს მიეცათ.

— ამ კარგ თაოსნობას ამიერიდან ტრადიციად ვაქცევთ, — გვითხრეს შ. ცხვარაძემ და „სამტრესტის" საწარმოო კომბინატის პარტბიუროს მდივანმა ჯ. მიქელაიშვილმა. მათვე გაგვაცნეს პირველი ღონისძიების მონაწილენი. კომუნისტური შრომის ბრიგადირი გ. ალიმბარაშვილი, სამხატვრო საამქროს ოსტატი მ. ბიბილაშვილი, ტექნოლოგები თ. ღვინეფაძე და მ. მირკელოვა, მოწინავე მუშა ლ. თოდუა, მთავარი ენერგეტიკოსი თ. ოქრომჭედლიშვილი და სხვ.

პარტბიუროს მდივნები შეთანხმდნენ, რომ მომავალში შეჯიბრებები მოეწყოს სამუშაო უბნებს შორისაც არა მარტო სპორტში, არამედ პროფესიაში საუკეთესოთა სახელისთვისაც.

ვ. სინჯარაძე.

მსოფლიო ჩემპიონი მეოთხე იყო

ვარშავა, 17 იანვარი. ზაკოპანსკის ყურეში დამთავრდა მსოფლიო პირველობის გათამაშება საბუერო სპორტში. ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლა გაიმართა ესტონელ სპორტსმენებს — ე. ვოორემაას, ვ. კუუსკსა და ამერიკელ ტ. ვუდჰაუზს შორის. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭა ამერიკელმა ბუერისტმა. მას მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩა ევროპის სამგზის ჩემპიონი ვოორემაა. ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა კუუსკი. მსოფლიო ჩემპიონი, ტალინელი ა. ვილდე ამჯერად მეოთხე იყო. ასპარეზობაში მონაწილეობდა 6 ქვეყნის 44 სპორტსმენი. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობდნენ საბჭოთა სპორტსმენები.

მსოფლიო პირველობის მონაწილეები გფრ-ში გადაბარგდებიან, სადაც შტაინჰუდის ტბაზე ჩატარდება ჩვენი კონტინენტის ჩემპიონატი.

მორიგი ეტაპი — „ვერცხლის ედელვაისი"

საბჭოთა კავშირის სამთომოთხილამურეებმა კარგად იციან, რომ ოლიმპიადები და მსოფლიო ჩემპიონატები ოსტატობის საუკეთესო სკოლაა. ამიტომ ისინი მუდამ მონაწილეობენ ამ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში, თუმცა ჯერჯერობით წარმატებებს ვერ აღწევენ. წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატისთვის უძლიერესი საბჭოთა სამთომოთხილამურეები გფრ-ის ტრასებზე ემზადებიან და ამიტომ საკავშირო თასის მორიგ ეტაპზე — „ვერცხლის ედელვაისის" პრიზისთვის შეჯიბრებაში არ გამოსულან.

ალმა-ათაში თავი უმეტესად ყაზახეთის, ბელორუსიის, მოსკოვისა და ზოგიერთი სხვა ქალაქის სპორტსმენებმა მოიყარეს. თოვლის სიმცირის გამო ხწრაფდაშვებაში შეჯიბრება არ გამართულა.

ვაჟებიცა და ქალებიც სპეციალური სლალომის 450-მეტრიან ტრასაზე ასპარეზობდნენ. ქალებისთვის სიმაღლეთა სხვაობა 180 მეტრი იყო, ვაჟებისთვის — 20 მეტრით მეტი. გამარჯვება როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შეჯიბრებაში მინსკელ სპორტსმენებს, თანაც, ერთი ოჯახის წევრებს ხვდათ. ქალთა შორის უძლიერესმა ტ. ზელენოვა-ხრაპაკოვამ ორი ცდის ჯამში 1.40,1 წამი აჩვენა. მისმა დამ, ნადეჟდამ, 0,3 წამით უარესი შედეგით II ადგილი დაიკავა. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ვ. ხრაპაკოვმა — 1.37,6. მომდევნო ადგილებიც მინსკელებს ა. ეგოროვსა (1.38,3) და ი. დემენტიევს (1.40,9) ხვდათ.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა გიგანტური სლალომისთვის მხოლოდ 1000-მეტრიანი ტრასის (სიმაღლეთა სხვაობა — 240 მ) მოწყობა შეძლეს. ამ სახეობაში ქალთა შორის ყველას აჯობეს მოსკოველებმა — ნ. მერკულოვამ (1.37,6) და გ. სიდოროვამ (1.39,4).

ვაჟებისთვის ორი დაშვება მოეწყო. პირველმა ცდამ ხრაპაკოვი დააწინაურა, მაგრამ საბოლოოდ იგი ამ სახეობაში II ადგილს დასჯერდა—2.55,4. გაიმარჯვა ალმაათელმა ა. დემენტიევმა — 2.55,0.

ამ შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ბელორუსიელი სამთომოთხილამურეები სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადისთვის ენერგიულად ემზადებიან.

სსრ კავშირის საავტომობილო სპორტის ფედერაციის განცხადება

მთელი მსოფლიო შეძრწუნა ჩილის სამხედრო ხუნტის ბოროტმოქმედებამ. ხუნტამ აწამა და სიცოცხლეს გამოასალმა ათასობით ჩილიელი პატრიოტი. ამ ამბავმა მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის სამართლიანი რისხვა და აღშფოთება გამოიწვია.

სავსებით ბუნებრივია, რომ საბჭოთა ფეხბურთელებმა უარი თქვეს მსოფლიო პირველობის მატჩი ეთამაშათ უდანაშაულო ადამიანთა სისხლით მორწყულ და უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკად ქცეულ სტადიონზე.

ვინაიდან ფიფა-მ არ დააკმაყოფილა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნა თამაშის ნეიტრალურ მინდორზე გადატანის თაობაზე და საბჭოთა ფეხბურთელებს წაგება ჩაუთვალა, სსრ კავშირის საავტომობილო ფედერაცია, რომელიც მხარს უჭერს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სამართლიან პოზიციას, ვერ მიიღებს მონაწილეობას ლონდონ — მიუნჰენის მარათონში, რომელიც ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს ეძღვნება.

იმავე მიზეზით, აღნიშნული მარათონის ტრასა სსრ კავშირის ტერიტორიაზე ვერ გაივლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბიწყებული

ქალათბურთით გართობა მე ჯერ კიდევ 1925 წელს დავიწყე თბილისში, ყოფილ „სობოროს პლაცზე“, იქ, სადაც ახლა მთავრობის სასახლეა აღმართული. ამ პლაცზე ჩვენ, ფეხბურთელები, ჩვენს ბურთს დავსდევდით, ქალათბურთელები კი იქვე, მახლობლად — თავისას. ამიტომ ქალათბურთი უკვე მაშინ აღარ იყო ჩვენთვის უცხო ხილი.

ეს თამაში საოცარი სისწრაფით გავრცელდა ქალაქში. ქალათბურთის დებიუტი საქართველოში ხომ მხოლოდ 1923 წლის მარტში შედგა, როცა ყოველმხრივი სპორტსმენის, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. ჭელიძის თაოსნობით, რომელმაც ეს თამაში თავის სასწავლებელში დანერგა, მუშფაკის ორი გუნდის შეხვედრა მოეწყო. იმ დღიდან, სასწავლო შესახვევში მდებარე მუშფაკის ეზოში გამართული ამ თამაშიდან იწყება ქართული ქალათბურთის ისტორია. ხოლო უკვე ორი წლის შემდეგ ქალათბურთი უკვე მაგრად იდგა თავის არაბავშვურად მძლავრ ფეხებზე.

ქალაქში სტიქიურად იქმნებოდა ქალთა და ვაჟთა გუნდები. ბევრგან გაკეთდა ქალათბურთის სარბიელი. ყოველ შემთხვევაში, „სობოროს პლაცის“ გარდა, კარგად მახსოვს ქართული და რუსული მუშფაკების ეზოებში, ველოტრეკზე, ლენინის სახელობის სტადიონზე, გუნბის ქუჩაზე და სხვაგან მდებარე მოედნები.

მე და ჩემი მეგობრები ფეხბურთით ვიყავით თავბრუდასვეული და ქალათბურთელებს ქედმაღლურად ვუყურებდით, როგორც თეატრში პარტერში გამოჭიმულები უყურებენ ხოლმე ქანდარაზე მსხდომთ. მაგრამ რას ვიხამდით, ჩვენი ერთადერთი ბურთი ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან და ამიტომ ისღა დაგვრჩენოდა, ქალათბურთელებს მივტმასნებოდით. სასწრაფოდ ვადგენდით გუნდს და ხელით თამაშის ოსტატებს ვიწვევდით. თუმცა, როგორც ჩანს, არც ისე დიდი ოსტატები იყვნენ, ვინაიდან პირველი ასეთი, ეგრეთ წოდებული „მატჩი“ დამთავრდა ჩვენი მეტოქეების „ბამანადგურებელი“ დამარცხებით — 3:5. გამარჯვება მუდამ სასიამოვნოა. და რაკი ბურთის ფეხით გორების საშუალება ხშირად გვესპობოდა, ხელით თამაშიც დიდ სიხარულს გვგვრიდა. ერთი სიტყვით, თანდათან გაგვიტაცა ახალმა თამაშმა.

საოცარი ამაში არაფერი ყოფილა. საერთოდ, მაშინ ქალათბურთს უმეტესად სპორტის სხვა სახეობებიდან „გადმოსახლებულნი“ თამაშობდნენ. და, თუ მე განსაკუთრებით გავამახვილე ყურადღება ჩვენს ნეოფიტთა ჯგუფზე, ეს პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მთხრობელის უფლება გამოვიყენე. გარდა ამისა, თუ ხუმრობისა და ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვით, მას, ამ ჯგუფს, შემდგომში სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „დინამოს“ გუნდების სახით, მრავალი წლის მანძილზე უხდებოდა მთავარი როლის შესრულება ქართული ქალათბურთის განვითარებაში. ეს დაიწყო ცოტა უფრო გვიან, 1928 წელს, და 1938 წლამდე გაგრძელდა.

ქალათბურთელთა პირველი ჩემპიონატი კი თბილისში 1925 წელს მოეწყო. მაშინ ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს სამშენებლო ტექნიკუმის (სხვებთან ერთად ამ გუნდში თამაშობდნენ ვ. ოლეინიკი, კუროჩკინი, ნ. აპიანი), ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს (ა. ზავისნოვი, ბ. რუბეცი), ზაშ-ს, „განთიადის“ (ა. იოსავა, გ. შიოშვილი), „პარიზის კომუნის“ (ს. ოგანეზოვი, ა. კარპოვი) ქალათბურთელებმა. ქალთა გუნდებში გამოირჩეოდნენ ისევე „პარიზის კომუნა“ (ნ. ზალდასტანიშვილი, ვ. ავაქიანი, ვ. ზუიკოვა), „მედსანტრუდი“ (მ. გონჩაროვა, გ. ზაკტრეგერი, თ. სერებრიანსკაია, ვ. კორიაგინა) და „სინათლე“ (თ. კოსტანტინოვა, თ. ჭელიძე, თ. დიაჩენკო, მ. ასვლედიანი).

„სინათლე“! საკმარისია ერთი ახსენო ეს სახელი და მყისვე თვალწინ დაგიდგება მყვირალა „საჭადრაკო“ ფორმებში გამოწყობილი ვაჟთა გუნდი: მაისურების მარჯვენა მხარე — შავი, მარცხენა — თეთრი, ტრუსებისა, პირიქით, მარჯვენა მხარე — თეთრი, მარცხენა — შავი.

„სინათლის“ წევრებო, ჩვენო მაშინდელო ჯადოქრებო! განა თქვენ არა ხართ ის თაობა, რომლის წყალობითაც ქალათბურთი ესოდენ პოპულარული გახდა ჩვენს რესპუბლიკაში? განა თქვენ არ ჩაყარეთ ის თესლი მიწაში, რომ გაღივდა და ასე უსაგად გვიბოძა ნაყოფი — ქალათბურთელთა სახელოვანი მიღწევები, რომელთა დაჩრდილვაც საქართველოში მხოლოდ მოჭიდაველებმა შეძლეს.

იმ პერიოდში ქვეყნის ბევრ უძლიერეს ქალათბურთელთან მომხდა შეხვედრა, მაგრამ თუ მაინც „ხინათლის“ მოთამაშეთა ის პირველი გაკვეთილები დამამახსოვრდა, აღბათ იმიტომ, რომ მათი თამაში ნამდვილად შთამბეჭდავი იყო. ითქოს ახლაც თვალწინ მიდგას გულკეთილი, დინჯი ალექსანდრე დავიდოვი, ვერცხლისწყალივით მოუსვენარი შურა ჭელიძე, კატასავით მოქნილი გოგი საყვარელიძე, წინდახედული, ფრთხილი მიხო ცხვედაძე, მკვირცხლი ბორის გერასიმოვი.

დიახ, ქართულ ქალათბურთს ზედმა გაუღიმა იმ აზრით, რომ „სინათლის“ სახით იმთავითვე გამოჩნდა ღირსეული ფლაგმანი. ეს გუნდი, რომელშიც შედიოდნენ საუცხოო ტანმოვარჯიშეები და მძლეოსნები, ამასთან, ფიზკულტურის ინსტრუქტორები, ისე, სასხვათამორისოდ ვერ ითამაშებდა. სწრაფი, ლამაზად გათამაშებული კომბინაციების შემდეგ მეტოქის ფარის ქვეშ გასვლა, ეფექტური ტყორცნა, მოქნილობა, — ეს ყოველივე ამ გუნდს აღტაცების საგნად აქცევდა. იგი თავისი მაგალითით თითქოს სხვებსაც თამაშის საიდუმლოებათა შეცნობისკენ მიუწოდებდა და სრულყოფის გზებს უჩვენებდა.

რა გასაკვირია, რომ 1926 წელი ქალათბურთის აღორძინების წელი იყო საქართველოში. თბილისში, ქუთაისში (ამ ქალაქიდან უნდა დავასახელოთ გ. და პ. ლილაძეები, დ. ხოჭოლავა), ბათუმში (ი. ატროშჩენკო, ლ. იოანიმიდი, ა. ანიკინი) თუ სხვა ქალაქებში ქალათბურთს ძლები თანდათან უმაგრდებოდა.

1928 წელს თბილისის პირველობა უკვე სუთ საფეხურად ჩატარდა, თანაც, ყველაზე დაბალ ჯგუფში 60-მდე გუნდი თამაშობდა.

დამახასიათებელი ნიშანია: თბილისში ქალათბურთით გატაცებული იყო სტუდენტობა, რომელიც თითქოს ერთბაშად, წყალდიდობის წყლებივით მიაწყდა ქალათბურთის მოედნებს. ჯერ მარტო უნივერსიტეტის გუნდების ჩამოთვლა გაუძნელდება კაცს. მათი რიცხვი ალბათ მართლაც რამდენმე ათეულს აღწევდა. ასე იყო თუ ისე, უნივერსიტეტის პირველობები უფრო საზეიმოდ ტარდებოდა და უფრო მასობრივიც იყო, ვიდრე დღევანდელი საქალაქო შეჯიბრებები. ისიც ფაქტია, რომ საქალაქო შეჯიბრებებში უნივერსიტეტიდან თორმეტი მარტო ვაჟთა გუნდი გამოდიოდა. საერთოდ, ქალათბურთს ბევრი შესდევდა და უნდა მოგასხენოთ, რომ ყველა მათგანი იხევე თავდავიწყებით ვარჯიშობდა, როგორც მოედანზე მატჩის დროს თამაშობდა.

კიდევ ერთი რამ უნდა აღვნიშნო: ეს სტუდენტები, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღოდათ საკავშირო სარბიელზე ქართული კალათბურთის პირველ წარმატებებში, საუცხოოდ სწავლობდნენ. დღეს ზოგი მათგანი აკადემიკოსია (სამი კაცი), ზოგი მეცნიერებათა დოქტორი. დამსახურებული ინჟინერი, აგრონომი, პედაგოგი და ა. შ. ისინი გატაცებით თამაშობდნენ, უანგაროდ ემსახურებოდნენ საყვარელ თამაშს, ტკბებოდნენ სპორტული ცხოვრების სიხარულით, ჯანსაღი მოძრაობით.

გავიხსენებ ზოგიერთს. უნივერსიტეტის ვაჟთა პირველ გუნდში თამაშობდნენ: დ. მიქაბერიძე, გ. ჯაფარიძე, ვ. ზდივანი, გ. იოსებაშვილი, გ. შუბაბაია, ლ. ფალავანდიშვილი; მეორეში — მ. ქობულაძე, დ. მიქელაძე, ვ. სოლოღოვი, ვ. ციციშვილი, ბ. წერეთელი; მესამეში — გ. მაჩაბაძე, მ. და გ. მირიანაშვილები; მეოთხეში — ი. ჯაფარიძე, რ. და ნ. მდივნები, დ. გელაძე; მეხუთეში — ა. ფალავანდიშვილი; მეექვსეში — რ. დვალი; მერვეში — შ. ყიასაშვილი; მეთორმეტეში, რომელსაც „პატარა სახუნტს“ ეძახდნენ, — გ. და ო. ავალიშვილები, შ. დიასამიძე. ქალებიდან დავასახელებ ვ. ლორთქიფანიძეს, ლ. ჩხეიძეს, ა. ნიკოლაიშვილს, მ. ბესტაშვილს, მ. ტყავაძეს, შ. ჟღენტს, ც. გაბაშვილს.

ოქროს ხანა იყო, ოქროსი არა გახმაურებული სახელებითა და კეთილშობილი ლითონის მედლებით (არ იყო მაშინ ეს მედლები), არა მატჩზე მოხვედრის მსურველთა რაზმებით (ახლა მათი რიცხვი ბევრად მეტია). ეს ხანა ოქროსი იყო ერთი თითქოს უპირველესი სურვილით, რომ ყველას თავი გაერთო ბურთით, ყველას ეთამაშა. მასებისთვის სწორედ ამ მისწრაფებაშია სპორტის ნებისმიერი სახეობის სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლო: სწორედ ეს მისწრაფებაა მუდმივ წარმატებათა საწინდარი, რაც მთავარია, თვით მისი არსებობის გამართლება. ამგვარად, ჩვენი თაობა ქართულ ქალათბურთს აძლევდა არა მარტო სახელოვნო აწმყოს, არამედ მომავლის ნათელ პერსპექტივასაც. დღევანდელი თაობა? ვითომ არ არის იგი ვალში ამ თვალსაზრისით, პერსპექტივების თვალსაზრისით?

ეს იყო ენით აუწერელი ამაღლებული ემოციური განწყობილება. ღმერთო, რა მოვლენად იქცეოდა ხოლმე საქალაქო ჩემპიონატებში ყოველი ჩვენი შეხვედრა „სინათლესთან“, ერთადერთ გადაულახავ ზღუდესთან. ერთი პატარა შტრიხი: სტუდენტმა ქალებმა მაისურებზე უნივერსიტეტის ემბლემა ამოგვიქარგეს. ვთამაშობდით და სხეულით თითქოს ქალწულის ხელების სითბო და ნდობა დაგვქონდა. ეს კალათბურთის წყალობა იყო. და მადლიერების ნიშნად ჩვენც თავს არ ვზოგავდით საქართველოში კალათბურთის პოპულარიზაციისა და პროპაგანდისთვის...

1927 წლის დამდეგს უნივერსიტეტელებმა სწორედ ამ მიზნით მოვაწყვეთ ჩვენი პირველი მოგზაურობა — ქუთაისში ვიყავით. ვაქები იქაურ კალათბურთელებს შევხვდით, ქალებმა კი, რაკი ქუთაისში ქალთა გუნდები არ იყო, ერთმანეთთან ითამაშეს. იქ შევხვდით ახალ წელს, სტუდენტურად, ფსონით.

მოგზაურობა გრძელდებოდა. ვიყავით ბათუმში: ჯერ ერთი გუნდი, მერე — რამდენიმე. ვთამაშობდით ღია მოედანზე, ზედ ზღვის პირას, ტირის გვერდით. ვთამაშობდით რკინიგზელთა პატარა სპორტულ დარბაზშიც. რკინიგზელებს მოვუგეთ ანგარიშით 100:9, ქალაქის ნაკრებს — 31:10. მერე კალათბურთი სამტრედიელებსაც ვუჩვენეთ. ქუთაისში ერთხელ ქალაქის ცენტრშიც ვითამაშეთ, პირდაპირ ბულვარში. მასპინძლები ბილეთებს ყიდდნენ, მაგრამ რომელი სულელი წამოეგებოდა ანკესზე, როცა სარბიელი ყოველი მხრიდან ღია იყო! უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, შემოსავალი კი 2 მანეთი და 40 კაპიკი აღმოჩნდა. სწორედ იმდენი მოგრთდა, რომ ერთად დაგვეღია ჩაი ჩილინგაროვის საკონდიტროში.

ეჭვი არ არის, ამ მოგზაურობებმა დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკაში კალათბურთის მტკიცედ დანერგვას, მაგრამ მე, გამოგიტყდებით, თქვენს ყურადღებას ამ ამბებზე განზრახ შევაჩერე, რათა იმ დროიდან დღევანდელ დღემდე ერთგვარი დასკვნების ხიდი გამედო. მე დიდი ხანია მგონია, რომ, სანამ რესპუბლიკის პირველობა კალათბურთში ასეთი სამიმოსვლო კალენდრით არ ჩატარდება, რაც საშუალებას მოგვცემს სისტემატურად მოვაწყოთ კალათბურთელთა შეხვედრები პერიფერიებში, ამ თამაშისადმი ინტერესის გაღვივებას ვერ შევძლებთ.

1928 წელი იყო. თბილისში გამოჩნდა ვაჟთა კიდევ ერთი ძლიერი გუნდი — „მედსანტრუდი“. ამ გუნდში თამაშობდნენ შალამბერიძე, ქუსხიაშვილი, შ. პაატაშვილი, რ. მონასელიძე, ს. მოსაშვილი.

ჩვენ, სასუნტელებს, ძალიან გვიშლიდა ხელს ძალების დაჭაჭვა. ბი, სწორედ მაშინ გადაწყდა ერთ მუშტად შეგვრულიყავით. შედგა გუნდი, რომელშიც შევიდნენ ლ. ფალავანდიშვილი, ვ. ციციშვილი, ა. წერეთელი, ვ. და რ. მდივნები, შ. ყიასაშვილი. მიუხედავად ამისა, „სინათლის“ სეზსაციურად დამარცხება მაინც „მედსანტრუდმა“ მოგვასწრო. მაგრამ იმავე 1928 წლის სეზონში ჩვენც მივაღწიეთ მიზანს. მას შემდეგ მთელი ათი წლის მანძილზე, უკვე თბილისის „დინამოს“ სახელით, რომელსაც შემდეგ ა. კარპოვი და ა. ელენსკი შეემატნენ, ჩვენ ვიყავით ქალაქის უცვლელი ჩემპიონები, უძლიერესნი მთელს რესპუბლიკასა და ამიერკავკასიაში, ერთ-ერთი საუკეთესონი სსრ კავშირში. ასე რომ არ ყოფილიყო, 1938 წელს თბილისის დინამოელები არმიის, ფლოტისა და „დინამოს“ საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონები ვერ გახდებოდნენ.

მეტოქეობა თანდათან გაღრმავდა. 30-იანი წლების დამდეგს სარბიელზე გაიელვა „მედსანტრუდის“ ახალმა, ძლიერმა შემადგენლობამ (გ. და ო. ავალიშვილები, შ. დიასამიძე). შემდეგ გამოჩნდა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი — ს. ოგანეზოვი, ლ. ძეკონსკი, გ. და ო. ავალიშვილები, ბ. აკიმოვი, გ. ჭირაქაძე, ნ. სტურუა. ეს გუნდი ჩვენს მთავარ მეტოქედ იქცა.

იმ წლებში ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტისა და „დინამოს“ ქალთა კოლექტივებიც. ინსტიტუტის გუნდში თამაშობდნენ თ. გეგელაშვილი, ნ. ზალდასტანიშვილი, თ. ლეჟავა, ზ. შველიოვა, ო. ჯარდანაშვილი, „დინამოში“ — ვ. ავაქიანი, რ. შტე-

ამხილეს ნაკლოვანებები

პროფტექნიკური განათლების რესპუბლიკური კულტურის სახლში ჩატარდა „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ პროფტექნიკური განათლების სასწავლებლების დირექტორები, მათი მოადგილეები აღმზრდელობითს დარგში, კომკავშირის კომიტეტის მდივნები, ფიზიზრდის ხელმძღვანელები, მოსწავლეთა აქტივი და საზოგადოების მწვრთნელები.

პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: 1. „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს ამოცანები საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების, პროფტექგანათლების სასწავლებლების მოსწავლეთა XIV საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობისა და ამავე სისტემის XXVII რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩატარების საქმეში; 2. მზად ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შემოღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის 1972 წლის 13 მარტისა და „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს 1972 წლის 17 მარტის დადგენილებების შესრულების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ს. მეგრელიშვილი, მეორეზე — საზოგადოების ინსპექტორი ლ. ნიორაძე.

პლენუმზე ითქვა, რომ რესპუბლიკის პროფტექნიკურ სასწავლებლებში მომზადდა 26796 თანრიგოსანი სპორტსმენი. ამ მაჩვენებლებით საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში II-III ადგილები გაიაწილა და სწორედ ამ წარმატებისთვის დაჯილდოვდა ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით.

საზოგადოების ნაკრებმა გუნდებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს XIII საკავშირო სპარტაკიადაში, სადაც 24 ოქროს, 35 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. წელს ჩატარდება XIV საკავშირო სპარტაკიადა. საზოგადოების ნაკრები გუნდები უკვე შეუდგნენ მზადებას ამ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის და იმედია, თავს არ შეირცხვენენ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მონაწილე ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლები ჯერ კიდევ ნაკლებად არიან და მათი მაჩვენებლებიც დაბალია. სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში მონაწილეობდა საზოგადოების ერთი წევრი (ნიჩბოსნობაში), V სპარტაკიადაში — ოთხი (ცურვაში — 2 მონაწილე, ტანვარჯიშში — 2). მომავალი, VI სპარტაკიადისთვის დაგეგმილია ამ რიცხვის 22-მდე გაზრდა.

პლენუმზე გააკრიტიკეს ის სასწავლებლები, რომლებიც წლების განმავლობაში არ აძლევენ შევსებას ცენტრალურ სექციებს. ჩამორჩენილთა შორის დასახელეს თბილისის 24-ე, 27-ე, 34-ე, 35-ე, 38-ე, 41-ე, 49-ე და 65-ე სასწავლებლები.

რესპუბლიკურ სპარტაკიადებში კარგად გამოდიან თბილისის მე-6, მე-11 სამხატვრო, 23-ე, 31-ე, 54-ე, ფოთის მე-12, ქუთაისის 37-ე, 42-ე და ბათუმის 1-ლი სასწავლებლების ფიზკულტურის კოლექტივები. თავიანთ შესაძლებლობებზე სუსტად გამოდიან ტყვარჩელის 22-ე, თელავის 52-ე, ბათუმის 44-ე, ხიდისთავის მე-15, ქუთაისის 21-ე, თბილისის 27-ე სასწავლებლების წარმომადგენლები.

ითქვა, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ტარდება ფიზიზრდის გაკვეთილები. სპორტული დარბაზების უქონლობის გამო ზამთრის პერიოდში სპორტულ ტანვარჯიშში პროგრამა არ სრულდება. სასწავლებელთა უმრავლესობას სპორტული ბაზები არ გააჩნია და არც ზრუნავენ მათს მოსაწყობად. თუმცა, აღინიშნა ისიც, რომ წულუკიძის მე-9 პროფტექნიკურმა სასწავლებელმა საკუთარი ძალებით მოაწყო ფეხბურთის მინდორი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები...

ბევრი რამ გაკეთდა პროფტექნიკურ სასწავლებლებში მზდ ახალი კომპლექსის პოპულარიზაციისა და დანერგვისთვის, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები. შემოწმებით დადასტურდა, რომ ბევრ სასწავლებელს ჯერ კიდევ არა აქვს შედგენილი ხუთწლიანი პერსპექტიული სამუშაო გეგმები, მზდ კომპლექსის ნორმატივების მიმღები კომისიის სამუშაო გეგმები, არ ჩაუტარებია სპარტაკიადები მზდ კომპლექსის მრავალჭიდში, არ გაუშლია სოციალისტური შეჯიბრება...

პირველი საკითხის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: პ. ლიპარტიამ (მე-5 სასწავლებლის დირექტორი), ნ. გაჩენილაძემ (უფროსი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში), დ. თათეიშვილმა (ქუთაისის „შრომითი რეზერვების“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე), გ. არჩვაძემ (მე-11 სამხატვრო სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი), გ. ჩიქვანაიამ (ცურვის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე), გ. თურმანიძემ (ფოთის მე-12 სასწავლებლის ფიზიზრდის ხელმძღვანელი), ე. კაკაურიძემ (წულუკიძის მე-9 სასწავლებლის ფიზიზრდის ხელმძღვანელი), ა. ზამბახიძემ (სოხუმის 58-ე სასწავლებლის ფიზიზრდის ხელმძღვანელი). მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოვიდნენ ა. აბაშიძე (ბათუმის 44-ე სასწავლებლის დირექტორი), დ. ჩუგოშვილი (ველისციხის მე-13 სასწავლებლის დირექტორი), რ. ტყეშელაშვილი (ქუთაისის 67-ე სასწავლებლის დირექტორი), შ. თოდუა (თბილისის 36-ე სასწავლებლის დირექტორის მოადგილე), ს. ცომაია (რუსთავის მე-16 სასწავლებლის ფიზიზრდის ხელმძღვანელი), გ. ნაფყენია (ზუგდიდის 62-ე სასწავლებლის დირექტორი), ს. ყენტი (თბილისის 54-ე სასწავლებლის დირექტორი), კ. ყიფიანი (თბილისის 63-ე სასწავლებლის ფიზიზრდის ხელმძღვანელი) და ნ. ჩაჩავა (თბილისის მე-6 სასწავლებლის ფიზიზრდის ხელმძღვანელი).

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების, რესპუბლიკისა და თბილისის სპორტკომიტეტების ხელმძღვანელი მუშაკები.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. შევარდნაძემ.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

„სპარტაკის“ ჩემპიონები

სოხუმში ჩატარდა „სპარტაკის“ რესპუბლიკური პირველობა ქალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის ნაკრებმ გუნდები.

ქალთა შორის I ადგილზე გავიდა სოხუმის გუნდი. II ადგილი დაიკავეს ქუთაისის, ხოლო III — თბილისის ქალათბურთელებმა.

ვაჟთა შეჯიბრებაში თავი ბათუმელებმა გამოიჩინეს. მომდევნო ადგილები თბილისსა და სოხუმის ქალათბურთელებს ხვდათ.

გ. იაშვილი.

(ჩვენი კორ.).

ერთიანი ... ფურცელი

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

პა, რ. როხლინა, ვ. იგოვსკაია, ო. ერშოვა.

ტარდებოდა საწვრთნელი მეცადინეობები, მეხვედრები. გამოცდილება თანდათან გვემატებოდა. ყველაფერს დამოუკიდებლად ვსწავლობდით, ა. დიუბერონისა და მ. რომის წიგნებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში. ეს სრული თვითმმართველობა — შინაგანი, საგუნდო ცხოვრებიდან თვით რესპუბლიკურ სექციამდე. მაგრამ ჩვენ გადავლახეთ ეს ორგანიზაციული დონე. ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ სასწავლო-საწვრთნელი პროცესი უფრო სისტემური, მეთოდურად უფრო სწორი, მომთხოვნი უნდა ყოფილიყო. მივხვდით, რომ ტაქტიკური ფანტაზია კარგია იმ შემთხვევაში, თუ რეგულირებულია დაზეპირებული კომბინაციებით და ერთ ნებისყოფას ემორჩილება.

საერთოდ, წვრთნისა და თამაშის სრულყოფისთვის პირველ ყოვლისა საჭირო იყო ეგრეთ წოდებული სტიქიური საწყისების მოსპობა. და თუმცა იმ დროს ჩვენს ლექსიკონში სიტყვა მწვრთნელი საერთოდ არ არსებობდა, მაინც გამოგვიჩნდა ასეთი კაცი — ჩვენი გუნდისა და ქალაქის ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ციციშვილი. ეს პირველი შემთხვევა იყო რესპუბლიკაში. ამ კაცის სახელი დღეს უსამართლოდაა დავიწყებული, თუმცა თამამად შეძლება ითქვას, რომ ქართული კალათბურთის ფეხზე დაყენებაში მას ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვის. ამას მარტო ინტერმ როდი ვამბობ, რომ იმ ხანად ვახტანგ ციციშვილი იყო ქართული კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ფიგურა, რომ ის, ლევან ფალავანდიშვილი და რობერტ მდივანი 1935 წელს საქართველოდან პირველნი შეიყვანეს სსრ კავშირის ნაკრებში. არა, მე მის საერთო დამსახურებაზე მოგახსენებთ.

აქ აუცილებლად დაგვჭირდება ერთი პატარა განმარტება. დღეს ჩვენ უკვე მიჩვეული ვართ შრომის განაწილებას: ზოგი მხოლოდ თამაშობს, ზოგი მხოლოდ წვრთნის, ზოგი თეორეტიკოსია, ზოგი — მასწავლებელი, ზოგი ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა და ზოგსაც მსაჯობა აქვს დაკისრებული. ჩვენ კი, მოქმედი მოთამაშენი, ყველა მოვალეობას ვასრულებდით. საქმეს ვაკეთებდით არა რაიმე ანგარიშით, არამედ სავსებით უანგაროდ, ეგრეთ წოდებულ საზოგადოებრივ საწყისებზე, სხვანაირად რომ ვთქვათ, უსასყიდლოდ.

ახლახან წავაწყდი ვ. ციციშვილის მიერ ჯერ კიდევ 1934 წელს კალათბურთელთა სკოლებისთვის შედგენილი პროგრამის პროექტს ჩემი და ა. წერეთლის შენიშვნებით. სწორედ ჩვენ სამნი შევდიოდით იმ კომისიაში, რომელმაც დაამუშავა საქართველოში პირველი ასეთი პროგრამა. განა ეს არ მოწმობს, რაოდენ დიდ სასიცოცხლო ძალას წარმოადგენდა შემოქმედებითი აზრი, რომელიც იმდროინდელ კალათბურთში ფეთქავდა? აქაც მთავარი როლი ციციშვილს ეკუთვნის.

ჩვენ ისიც გვესმოდა, რომ თვითდინების დრო სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას და მომავალი ეკუთვნოდა მას, ვინც ცვლას უკეთ-მოამზადებდა. სწორედ ამიტომ გავხდით ბავშვთა სპეციალურ ჯგუფთან მუშაობის პიონერები. წერეთელი გოგონებს ამეცადინებდა, მე — ბიჭებს. შემდეგში ყველა მათგანი გამოადგა „კალათბურთს. განსაკუთრებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მ. ფილიპოვმა (სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონმა) და თ. ჩუბინიშვილმა. ციციშვილი აქაც ყველაზე წინ წავიდა: „სტროიტელთან“ ჩამოაყალიბა კალათბურთელთა სკოლა, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა.

აი, რატომ მიგვაჩნია საჭიროდ ვ. ციციშვილის საერთო დამსახურებაზე ლაპარაკი. საუკეთესო კალათბურთელი ამავე დროს იყო მწვრთნელი, თეორეტიკოსი, მასწავლებელი, ორგანიზატორი და სულმძღვანელი საქალაქო და რესპუბლიკური სექციებისა. ვიმეორებ, ციციშვილმა განუზომლად დიდი როლი შეასრულა ქართული კალათბურთის განვითარებაში. ჩვენც შეტანაკლებად გამოვირჩეოდით საკალათბურთო ინტერესების ფართო წრით, რასაც, სამწუხაროდ, ვეღარ ვამჩნევთ კალათბურთის თანამედროვე ოსტატებს.

... ქართულმა კალათბურთმა საკავშირო ხარბიელზე მტკიცედ მოიკიდა ფეხი. მხოლოდ 1934 წლიდან, როცა კიევში ქვეყნის IV ჩემპიონატი ჩატარდა. ჩვენ იქ IV ადგილი დავიკავეთ. დასაწყისისთვის ეს ცუდი შედეგი არ იყო, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ მაშინ ქართულმა კალათბურთმა არაჩვეულებრივი პოპულარობა მოიპოვა ტემპერამენტიანი, ნათელი, თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თამაშით.

ეს პირველობა გამორჩეული იყო თავისი სადღესასწაულო განწყობილებით, მეგობრობისა და ერთობის სულისკვეთებით, მით უმეტეს, რომ შეჯიბრება ჩელუსკინელთა ეპოპეის დღეებში ტარდებოდა.

ერთი წლის შემდეგ ლენინგრადში V საკავშირო ჩემპიონატი ჩატარდა. შეჯიბრება „კრასნაია ზარიას“ დარბაზში დაიწყო, მაგრამ შემდეგ უფრო ფართო სარბიელზე — „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნების ქვეშ გადაიტანეს. ჩვენ ამ შეჯიბრებაში პირველად დავიკავეთ საპრიზო ადგილი — ჩამოვრჩით მხოლოდ მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებ გუნდებს. მერე, 1936 წელს, ოთხი ქალაქის მატჩში ვაჯობეთ მოსკოველებს და II ადგილი დავიკავეთ. იმ პერიოდში ნაკრების უცვლელი წევრები იყვნენ ვ. ციციშვილი, ლ. ფალავანდიშვილი, ს. ოგანეზოვი, ა. წერეთელი, რ. მდივანი, შ. ყიასაშვილი, გ. ავალიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

სწორედ იმ ღირსახსოვარი წლებიდან დაიწყო ქართული კალათბურთის თვალსაჩინო აღმავლობა. 1939 წელს ხარკოვში ჩატარებულ ექვსი ქალაქის მატჩში თბილისის ნაკრებმა I ადგილი დაიკავა. ორჯერ, 1944 და 1946 წლებში, ქვეყნის ჩემპიონები იყვნენ თბილისის ოფიცერთა სახლის კალათბურთელები, ხოლო თბილისის დინამოელებმა კი წოდება მოიპოვეს 1950, 1953, 1954 და 1968 წლებში. „დინამომ“ გაიმარჯვა 1959 წლის ზამთრის პირველობაში, იყო სსრ კავშირის თასის მფლობელი 1949, 1950, 1969 წლებში. 1962 წელს ამ გუნდმა ევროპის თასიც მოიპოვა. 1952 წელს თბილისის გუნდმა ქალაქების მატჩი მოიგო, 1951 წელს კი საქართველოს ნაკრებმა სსრ კავშირის თასი დაისაკუთრა. აი, რარიგ დიდებულია ქართული კალათბურთის ნამსახურობის ნუსხა!

ამ გამარჯვებაში მთელ რესპუბლიკას მიუძღვის დამსახურება. ქუთაისელები, მაგალითად, გარდა იმისა, რომ 40-იან წლებში ძალიან კარგი გუნდი („დინამო“) ჰყავდათ, საკავშირო ჩემპიონატის პირველ ჯგუფში გამოდიოდნენ, ხოლო 1945 წელს ქალაქების მატჩში III ადგილი დაიკავეს. თბილისის „დინამოში“ გადმოსვლის შემდეგ კი ქუთაისელმა კალათბურთველებმა (ო. ქორქია, ა. მესხი, ს. თორთლაძე, ჯ. ნიჟარაძე, შ. ქორქაშვილი) გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქართული კალათბურთის ხელახალ აღორძინებაში. 1950 წელს ქართველმა კალათბურთელებმა ქვეყნის ჩემპიონობა რომ მოიპოვეს, ამაში ქუთაისელთა დიდი დამსახურებაც იყო. თბილისის „დინამოს“ წარმატებები მჭიდროდაა დაკავშირებული, აგრეთვე, ბათუმელი კალათბურთელების ვ. ალთაბაევის, ბ. ბერლაძის, ა. კაზანჯიანის, ქუთაისელების — შ. საკანდელიძისა და მ. ქორქიას სახელებთან.

ნახევარი საუკუნე დიდი დროა, ხოლო საქართველოსთვის, ვიმეორებ, ჭიდაობის გარდა, სპორტის არც ერთ სახეობას არ მოუტანია ამდენი სასახელო გამარჯვება. ჩვენთვის ყველა თანაბრად ძვირფასია — წარსულში ცნობილი კალათბურთელებიც და დღევანდელი სახელგანთქმული ოსტატებიც, ყამირის პირველი გამტეხნიც და დიდ საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულნიც.

ჩვენთვის ძვირფასია ეს სახელები: რ. მდივანი, ლ. ძეკოსკი, ბ. სარჭისოვი, მ. ფილიპოვი, ა. ელენსკი, თ. ჩუბინიშვილი, შ. ახალედიანი, ნ. ჯორჯიკია, ს. ოგანეზოვი, მ. ერმაკოვი, გ. ხახლიანი, გ. გუბაღოვი, ო. სულაბერიძე, ა. ვაჩაძე, ბ. ახალედიანი, ო. ქორქია, ლ. ინწკირველი, ჯ. ნიჟარაძე, დ. გოძიაშვილი, ვ. ჟღენტი, შ. ქორქაშვილი, თ. მეძმარიაშვილი, გ. რუხაძე, მ. კვაკვალიძე, ბ. კილაძე, გ. ბახტურიძე, ლ. არღანაშვილი, გივი ბაბაშიძე, ვ. ტვანცელაძე, ს. თორთლაძე, გურამ ბაბაშიძე, გ. მინაშვილი, ვ. ალთაბაევი, რ. გოგელია, ვ. უგრეხელიძე, ი. ხაზარაძე, ლ. მოსეშვილი, ბ. ლეჟავა, ბ. ხსიერელი, ბ. კაზანჯიანი, მ. ქორქია, ზ. საკანდელიძე...

ჩვენ ვამაყობთ ამ კალათბურთველებითა და მათი მასწავლებლებით. ჩვენ მადლობელი ვართ მათი. მადლობელი ვართ ჩვენი კალათბურთველებისა, რომლებიც ასე უხვად გვასაჩუქრებენ გამარჯვებებით, სიჯანსაღით.

მაგრამ რით ვანაზღაურებთ ამ სიუხვეს? ყოველი მხვნელი და მთესველი ოვის მარჩენალ მიწას ისევ დაუღალავი შრომით, ისევ მისი გულმოდგინედ დამუშავებით, მასზე ზრუნვით უხდის მადლობას. ჩვენ როგორღა ვიქცევით? 1973 წლის მარტში ქართულ კალათბურთს ნახევარი საუკუნე შეუსრულდა, მაგრამ ეს ძვირფასი თარიღი სპორტის მესვეურთაგან ბევრს არც კი გახსენებია. საერთოდ, კალათბურთს დიდი ყურადღებით არ ანებივრებენ. იქნება მიტომაც იყო, რომ თავის 50 წლისთავს ქართული კალათბურთი მაინცდამაინც ხელდამშვენებული ვერ შეხვდა!

ვ. მდივანი.

P.S. ამ წერილში მოხსენიებული არ არიან სპორტსმენები, რომლებსაც, მართალია, უმაღლესი ჯილდოები არ მიუღიათ, მაგრამ ქართული კალათბურთის განვითარებაში უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვით. მხედველობაში მყავს ქალებიდან — ა. ასიტაშვილი, ლ. ქველიძე, ნ. ჯაფარიძე, ც. ჯანელიძე; ვაჟებიდან — ა. გლურჯიძე, ვ. ლომაძე, ი. ლეჟავა და სხვები. ცხადია, არც ეს სიაა სრული, მაგრამ ბოლოს და ბოლოს საქმე მხოლოდ გვარების ჩამოთვლა ხომ არ არის? მთავარი ისაა, რომ ყოველი მათგანი თავისებურად ემსახურებოდა იმ დიდ და სასახელო საქმეს, რომელსაც ქართული კალათბურთი ჰქვია.

ვ. ვ.

● ●

თბილისის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები. სურათი გადაღებულია 1984 წელს კიევში გამართული პირველი საკავშირო შეჯიბრების წინ. მარცხნიდან — ვ. მდივანი, ვ. ავალიშვილი, შ. ყიასაშვილი, ბ. წერეთელი, ლ. ფალავანდიშვილი, რ. მდივანი, ვ. ციციშვილი და ს. ოგანეზოვი.



ნაკრების შემადგენლობა დადგინდა

ᲤᲘᲖᲘᲣᲠᲣᲚ ᲪᲘᲒᲣᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲧᲘᲜ

ფიზიკურული ციგურაობის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა ევროპის ჩემპიონატისთვის. იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრებიან: მოსკოველები ი. როდნინა და ა. ზაიცევი, ლ. სმირნოვა და ა. ულანოვი, ნ. გორშკოვა და ე. შევლოვსკი (იასპარეზებენ წყვილთა სრიალში), ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი, ნ. ლინიჩუკი და ვ. კარპონოსოვი, ი. მოისეევა და ა. მინენკოვი (ყინულზე ცეკვა). ქალთა ერთეულების შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ 1 მონაწილე გამოვა — მოსკოველი მოსწავლე მ. სანაია. ვაჟთა ერთეულებში იასპარეზებენ: ვ. კოვალიოვი (მოსკოვი), ს. ვოლკოვი (მოსკოვის ოლქი) და ი. ოვჩინიკოვი (ლენინგრადი). თუ ამ სამეულიდან რომელიმე ზაგრებში გამგზავრებას ვერ შეძლებს, მას შეცვლის ლენინგრადელი ი. ლისოვსკი.

საინტერესო ტურნირი

თბილისის არმიის სპორტული კლუბის ცენტრალურ დარბაზში ჩატარდა ამერკავკასიის წიათლდროშოვანი სამხედრო ოლქის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრება საინტერესოდ წარიმართა. ამას ხელი შეუწყო მონაწილეთა სამრავალმე: გამარჯვებისთვის იბრძოდა ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 28 სპორტის ოსტატი.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საუკეთესო ტექნიკისთვის სპეციალური პრიზები გადაეცათ ვ. ანტონოვსა და თ. სირბილაძეს. ასპარეზობის ორგანიზებულად ჩატარებისთვის საპატიო სიგელი მიიღო სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ნ. აკოფოვმა. დაკომპლექტდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის „კლასიკოსთა“ ნაკრები, რომელიც თებერვალში მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირად-გუნდურ პირველობაში. ეს ასპარეზობა რიგაში გაიმართება.

გაგაცნობთ გამარჯვებულ სპორტსმენებს (წონითი კატეგორიების მიხედვით): ა. სადიხოვი, ა. ჩალაური, შ. გიგოლაშვილი, ფ. ჰაპიკიანი, ა. აფრიამაშვილი, ვ. ანტონოვი, გ. ჭელიძე, გ. დოგუზაშვილი, მ. მორჩილაძე, ზ. მირაქიშვილი.

ბ. ბარჯაძე,
სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ - 76

პარიზი, 16 იანვარი. აქ მოეწყო ევროპის 1976 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების კენჭისყრა. 32 ქვეყნის გუნდები გახაწილდნენ 8 საკვალიფიკაციო ჯგუფში. შესარჩევი მატჩები დაიწყება წლეულს 1 აგვისტოდან. მეტოქეები ერთმანეთს ხვდებიან ორჯერ, საკუთარ და მონინააღმდეგის მინდვრებზე. მეოთხედფინალები ჩატარდება 1976 წლის აპრილსა და მაისში, ხოლო ფინალი — ივნისში. მოგვყავს კენჭისყრის შედეგები:

I ჯგუფი: ინგლისი, ჩეხოსლოვაკია, პორტუგალია, კიპროსი.

II ჯგუფი: უნგრეთი, ავსტრია, უელსი, ლუქსემბურგი.

III ჯგუფი: იუგოსლავია, შვეიცია, ჩრ. ირლანდია, ნორვეგია.

IV ჯგუფი: რუმინეთი, ესპანეთი, შოტლანდია, დანია.

V ჯგუფი: იტალია, ჰოლანდია, პოლონეთი, ფინეთი.

VI ჯგუფი: სსრ კავშირი, თურქეთი, შვეიცარია, ირლანდია.

VII ჯგუფი: ბელგია, გდრ, საფრანგეთი, ისლანდია.

VIII ჯგუფი: გფრ, ბულგარეთი, საბერძნეთი, მალტა.

მოეწყო ახალგაზრდული ნაკრები გუნდების საკონტინენტო ჩემპიონატის კენჭისყრაც. საბჭოთა ფეხბურთელები პირველ ეტაპზე შეხვდებიან თურქეთისა და ირლანდიის გუნდებს.

„ᲛᲘᲚᲐᲜᲘᲡ“ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ

ამსტერდამი. ევროპის ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელმა — ამსტერდამის „აიაქსმა“ გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა იტალიის „მილანი“ — 6:0. ეს იყო ეგრეთ წოდებული „სუპერთასის“ განმეორებითი მატჩი, რომელიც ევროპის 2 საუკეთესო საკლუბო გუნდს შორის ტარდება.

პირველი შეხვედრა მილანში „აიაქსმა“ წააგო ანგარიშით 0:1, რევანშმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა, რაც დამთავრდა მეულდერისა და კაიზერის 2 გოლით. შესვენების შემდეგ სტუმრების კარში კიდევ 4 გოლი გავიდა.



● **ლენინგრადი, 17 იანვარი.** დღეს ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკისა“ და იუგოსლავიის ქალაქ სარაევოს „ჟელეზნიჩარის“ კალათბურთელ ქალთა გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 99:52 (43:28). როგორც ცნობილია, პირველი მატჩიც საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 102:41.

● **მოსკოვი, 17 იანვარი.** სსრ კავშირის ჩემპიონებმა, წლეგანდელი საკავშირო გათამაშების ლიდერებმა, მოსკოვის ცსკა-ს ფრენბურთელმა ვაჟებმა დღეს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების საპასუხო მატჩში უმასპინძლეს ბელგრადის „პარტიზანს“ და დაამარცხეს იგი ანგარიშით 3:0 (15:8, 16:14, 16:14). ცსკა, ამ თასის ახლანდელი მფლობელი, ფინალში გავიდა.

მოთელვა.

ჟ. საკოვის ფოტოები.



უკანასკნელი ცდის წინ.

საუკეთესონი

ხუთი თბილისელი — უძლიერესთა ათეულებში

ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციამ 1973 წლის სეზონში საბჭოთა ჩოგბურთელთა შედეგების მიხედვით შეადგინა უძლიერესთა ათეულები, რომელთა სიებსაც ქვემოთ გთავაზობთ:

ქალები

1. მ. კროშინა (კიევი, „დინამო"), 2. ო. მოროზოვა (ცსკა), 3. მ. ჩუვირინა (მოსკოვი, „დინამო"), 4. გ. ბაკშეევა (კიევი, „დინამო"), 5. ე. გრანატუროვა (ცსკა), 6. ე. ბირიუკოვა (ბაქო, „ბურევესტნიკი"), 7. ა. ივანოვა (თბილისი, „განთიადი"), 8. ლ. ზინკევიჩი (ტალინი, „დინამო"), 9. ა. კრასკო-ერემეევა (ლენინგრადი, „დინამო"), 10. ტ. პარმასი (ტალინი, „დინამო").

ვაჟები

1. ა. მეტრეველი (თბილისი, „დინამო"), 2. თ. კაკულია (თბილისი, შეიარაღებული ძალები), 3. ს. ლიხაჩოვი (ბაქო, „ნეფთჩი"), 4. ა. ვოლკოვი (ცსკა), 5. შ. ტარპიშჩევი (ცსკა), 6. ვ. კოროტკოვი (ცსკა), 7. ვ. ეგოროვი (ცსკა), 8. პ. ლამპი (ტალინი, შეიარაღებული ძალები), 9. თ. ლეიუსი (ტალინი, „დინამო"), 10. ე. ბობოედოვი (დონის როსტოვი, ასკ).

გოგონები

1. ნ. ჩმირიოვა (მოსკოვი, „დინამო"), 2. ე. პატრულინა (ცსკა), 3. ს. კორშუნი (მინსკი, „დინამო"), 4. ი. შევჩენკო (ლიეპაია, „დინამო"), 5. ლ. მაკაროვა (სვერდლოვსკი, „სპარტაკი"), 6. ე. გიშიანი (ბაქო, „ბურევესტნიკი"), 7. მ. ელერდაშვილი (თბილისი, „ბურევესტნიკი"), 8. ი. მოლოკოედოვა (მოსკოვი, „სპარტაკი"), 9. ხ. კეკელია (თბილისი, „ბურევესტნიკი"), 10. ი. გრანატუროვა (ცსკა).

ჭაბუკები

1. ვ. ბორისოვი (მოსკოვი, „სპარტაკი"), 2. კ. პუგაევი (ცსკა), 3. ა. კაცნელსონი (მინსკი, „დინამო"), 4. ე. ბარანოვი (სოჭი, „დინამო"), 5. ა. მაშავეცი (კიევი, „ბურევესტნიკი"), 6. ვ. პავლენკო (კიევი, „ტრუდი"), 7. ა. კოსტენკო (სევეროდონეცკი, „ავანგარდი"), 8. გ. რემეიკისი („ვილნიუსი"), 9. ა. სიჟინავა (სოჭი, „ტრუდი"), 10. ი. კრეე (ტალინი, „დინამო").

ჭადრაკობით მხოლოდ ფაიმები

სან-ხუანი, 18 იანვარი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ბ. სპასკისა (სსრ კავშირი) და რ. ბირნის (აშშ) მატჩის მეორე პარტია გადადებული იყო საბჭოთა მოჭადრაკის უპირატესობით (მას ზედმეტი პაიკი ჰქონდა). მაგრამ თამაშის განახლებისას სპასკიმ არასწორად ითამაშა და მეტოქეს საშუალება მისცა ყაიმის გზებით სასურველი შედეგისთვის მიეღწია. ამერიკელი დიდოსტატი ძალიან ზუსტად თამაშობდა და ბოლოსდაბოლოს 72-ე სვლაზე ეს პარტიაც, ისევე როგორც პირველი, ყაიმით დამთავრდა.

ოზასტა, 18 იანვარი. ვ. კორჩნოისა (სსრ კავშირი) და ე. მეკინგის (ბრაზილია) მატჩის პირველი პარტია გადაიდო რთულ პოზიციაში, სადაც ბრაზილიელს ზედმეტი პაიკი აქვს. მეორე პარტიაში მეტოქენი ფრთხილობდნენ და უკვე 35-ე სვლაზე სრულიად საყაიმო პოზიცია შეიქმნა. მეტოქენი არ ცდილან ბრძოლის გამწვავებას და დაზავდნენ. პირველი პარტიის დამთავრება დღეს მოეწყობა.

მოსკოვი, 18 იანვარი. გუშინ შედგა საბჭოთა დიდოსტატების ა. კარპოვისა და ლ. პოლუგაევსკის მატჩის პირველი პარტია. დაძაბული ბრძოლის შემდეგ მეტოქენი 33-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

კაუნასსა და კიევში...

გუშინწინ დაიწყო ხელბურთელ ქალთა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. თითოეულ ქალაქში გამოდის 5 გუნდი.

კაუნასში პირველი დღის მატჩები ასე დამთავრდა: „ოსვიტა" (ჩერკასი) — „პეტროდვორეცი" (ლენინგრადი) 12:12, „სპარტაკი" (ბაქო) — „ტექნოლოგი" (მინსკი) 22:19.

კიევში გამართული პირველი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ლუჩი" (მოსკოვი) — № 3 სახლმშენებელი კომბინატი (კიევი) 13:11, „სპარტაკი" (კიევი) — „ისკოჟი" (კიშინიოვი) 27:13.

გუშინ ჩატარდა მეორე ტურის მატჩები.

საპატიო სტუმარი

ეს მაღალი, ხანში შესული, ხელჯოხიანი კაცი მძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი ჯეკ დემპსეი გახლავთ. იგი თავისი მომხიბვლელი მეუღლის ჯინას თანხლებით გამოდის ლონდონის ჰეთროუს აეროვოგზლიდან, რათა ცნობილ მენეჯერ ჯეკ სოლომონს შეხვდეს. 78 წლის დემპსეი საპატიო სტუმრად მიიწვიეს ლონდონში, მსოფლიოს სპორტსმენთა კლუბის ტრადიციულ შეკრებაზე.

პირველი ტურის შემდეგ

მოსკოვსა და ალმა-ათაში დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა 36-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური.

მოსკოვში ბოლო შეხვედრები ასე დამთავრდა: ასკ (დონის როსტოვი) — „ზვეზდა" (ვოროშილოვგრადი) 2:3, ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (მოსკოვი) — „ავტომობილისტი" (დნეპროპეტროვსკი) 3:1, „დინამო" (მოსკოვი) — ცსკა 0:3.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 ტურის შემდეგ

	მ.	წ.	პ.შ.	ქ.
ცსკა	5	0	15:3	5
„ზვეზდა" (ვოროშილოვგრადი)	3	2	12:9	3
ასკ (დონის როსტოვი)	3	2	12:12	3
„დინამო" (მოსკოვი)	2	3	9:11	2
უმაღლ. ტექნიკ. სასწ.	2	3	10:11	2
„ავტომობ." (დნეპრ.)	0	5	3:15	0

• • •

ალმა-ათაში ბოლო შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „ლოკომოტივი" (კიევი) — ტექნოლოგიის ინსტიტუტი (ოდესა) 3:1, „დინამო" (ლენინგრადი) — „დოროჟნიკი" (ალმა-ათა) 0:3, „ავტომობილისტი" (ლენინგრადი) — „რადიოტექნიკი" (რიგა) 1:3.

გათამაშების ცხრილი

„რადიოტექნიკი"	5	0	15:3	5
„ავტომობ." (ლენინგ.)	4	1	13:3	4
„დოროჟნ." (ალმა-ათა)	3	2	11:8	3
„ლოკომოტ." (კიევი)	2	3	6:11	2
„დინამო" (ლენინგრ.)	1	4	4:13	1
ტექნ. ინსტ. (ოდესა)	0	5	4:15	0

• • •

ვოროშილოვგრადსა და ლენინგრადში გრძელდება ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები. შედგა კიდევ ორი ტური.

ვოროშილოვგრადში შეხვედრები ასე დამთავრდა: 16 იანვარი. „ბურევესტნიკი" (კიევი) — „ავტომობილისტი" (ტაშკენტი) 2:3, „დინამო" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 1:3, „ურალოჩკა" (სვერდლოვსკი) — „ისკრა" (ვოროშილოვგრადი) 0:3. 17 იანვარი. „ურალოჩკა" — „ლოკომოტივი" 3:2, „დინამო" — „ავტომობილისტი" 3:1, „ისკრა" — „ბურევესტნიკი" 3:0.

ლენინგრადში მატჩების შედეგები ასეთია: 16 იანვარი. „ავტომობილისტი" (დონეცკი) — ცსკა 1:3, „ნეფთჩი" (ბაქო) — სამედიცინო ინსტიტუტი (ოდესა) 2:3, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 2:3. 17 იანვარი. სამედიცინო ინსტიტუტი — „ავტომობილისტი" 3:1, ცსკა — „სპარტაკი" 3:2, „ნეფთჩი" — „ბურევესტნიკი" 3:1.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება—99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება—93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია—93-97-58, გამომშვები—93-93-81, კორექტორები — 93-97-49.